

საგამოცდო ტიპობრივი კითხვები

1. ჩამოთვლილთაგან რომელია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების სტრუქტურული განსხვავებების ყველაზე ზუსტი აღწერა?

1. გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ სქელი პეპტიდოგლიკანური ფენა, ხოლო გრამუარყოფით ბაქტერიებს აქვთ თხელი ფენა.
2. გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ გარე ლიპიდებით მდიდარი მემბრანა, ხოლო გრამუარყოფით ბაქტერიებს არა.
3. გრამდადებითი ბაქტერიები ქმნიან სქესის პილუსს, რომელიც შუამავლობს კონიუგაციას, ხოლო გრამუარყოფითი ბაქტერიები არა.
4. გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ პლაზმიდები, ხოლო გრამუარყოფითი ბაქტერიები არა.

2. რას უწოდებენ ბაქტერიებს რომელთაც გააჩნიათ შოლტების კონა ერთ-ერთ ბოლოზე?

1. მონოტრიქი
2. ლოფოტრიქი
3. ამფიტრიქი
4. პერიტრიქი

3. რა თავისებურებით ხაიათდება გრამდადებითი ბაქტერიების უჯრედის კედელი?

1. მის შემადგენლობა შედის გარეთა მემბრანა
2. მის შემადგენლობაში შედის თეიხოს მჟავები
3. შეიცავს ლიპოპოლისაქარდის
4. მასში თითქმის ყოველთვისაა დიამინოპიმელინის მჟავა

4. ჩამოთვლილთაგან რომელ ბაქტერიას არ გააჩნია უჯრედის კედელი?

1. აქტინომიცეტებს
2. რიკეტსიებს
3. მიკოპლაზმებს
4. ნოკარდიებს

5. რომელი ნივთიერების არსებობას უკავშირდება ბაქტერიის სპორების მაღალი რეზისტენტობა გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი?

1. მიკოლოს მჟავის
2. დიპიკოლის მჟავის კალციუმის მარილების
3. დიამინოპიმელინის მჟავის
4. თეიხოს მჟავის

6. ჩამოთვლილთაგან რომელი ბაქტერები არ იღებება გრამის წესით?

1. სტაფიკოლოკები
2. სტრეპტოკოკები
3. ეშერიხიები
4. მიკობაქტერიები

7. სამედიცინო დაწესებულებაში შემოვიდა პაციენტი ფეხზე 5 სმ-იანი წყლულით. ნაცხის გრამის წესით შეღებვით აღმოჩნდა ძეწკვისებურად განლაგებული გრამდადებითი კოკები. საკვებ ნიადაგზე ზრდისას ისი იზრდებიან მცირე ზომის კოლონიების სახით რომესაც აღენიშნება β-ჰემოლოზი. დადგინდა რომ მიკრობი კატალაზა-უარყოფითია. ეს შედეგები მიუთითებ, რომ ორგანიზმის დაზიანების სავარაუდო გამომწვევია?

1. *S. aureus*
2. *E. faecalis*
3. *S. epidermidis*
4. *S. pyogenes*

8. 19 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა მიამართა სამედიცინო დაწესებულებას რადგან ქონდა ურეთრიდან გამონადენი ბოლო 24 საათის მანძილზე. ნაცხის მიკრობიოლოგიური გამოკვლევით დამოვლენილ იქნა *N. gonorrhoeae*. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშნით განსხვავდება გონოკოკი და მენინგოკოკი ერთმანეთისგან?

1. მენინგოკოკი არის ოქსიდაზა-პოზიტიური, ხოლო გონოკოკი კი არა
2. მენინგოკოკს აქვს სქელი პოლისაქარიდული კაფსულა, გონოკოკს არა
3. მენინგოკოკს შეიცავს ლიპიდ A-ს, გონოკოკი კი არა
4. მენინგოკოკი ასინთეზირებს IgA-პროტეაზას, გონოკოკი კი არა

9. 50 წლის მამაკაცმა მიამართა სამედიცინო დაწესებულებას, მას აღენიშნებოდა შემუპებელი ჰემორაგიულ-ნეკროტული ანთებითი პროცესი მარცხენა ხელზე, რომლის ცენტრი იყო მორუხო-შავი შესახედაობის. აღმოჩნდა, რომ პაციენტი იყო პროფესიით ყსაბი. ეჭვი იქნა მიტანილი ერთ-ერთ ზოოანთროპონოზულ დაავადებაზე. ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო ინფექცია?

1. ბოტულიზმი
2. ბრუცელოზი
3. ტულარემია
4. ჯილეხი

10. ახალგაზრდა დიასახლისი სასწრაფოდ გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში. იგი უჩიოდა მხედველობის გაორებას, უჭირდა ლაპარაკი, ბოლო ორის საათის მანძილზე აღენიშნებოდა პირის სიმშრალე და ზოგადი სისუსტე. წინა დღით ვახშამზე ოჯახის წევრებისთვის მან მოამზადა კონსერვირებული ლობიო, რომელიც გასინჯა მოხარშვამდე. ოჯახის არც ერთ წევრს არ აღენიშნება მსგავსი სიმპტომები. ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო დიაგნოზი?

1. ტეტანუსი
2. ბოტულიზმი
3. ბრუცელოზი
4. ტულარემია

11. 18 წლის პაციენტს ბანგლადეშიდან განუვითარდა პროფუზული დიარეა. პაციენტს დიარეისა და შესაბამისად სითხისა და ელექტროლიტების დაკარგვის გარდა არანაირი სხვა სიმპტომი არ ახასიათებს. სავარაუდოდ რომელი პათოგენი იწვევს ასეთ პათოლოგიას?

1. *Salmonella typhimurium*
2. *Shigella dysenteriae*
3. *Escherichia coli*
4. *Vibrio cholerae*

12. 25 წლის ავადმყოფს კუჭის წყლულის კლინიკური სურათით ჩაუტარდა გასტროსკოპია და აუღეს ბიოფსიური მასალა შემდგომი მიკრობიოლოგიური კვლევისთვის. დაასახელეთ დავადების სავარაუდო გამომწვევი

1. *H. ducrei*
2. *L. interrhogans*
3. *C. jejuni*
4. *H. pylori*

13. 30 წლის ქალბატონმა, რომელმაც მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, აღნიშნავს, რომ მას აქვს ხოლმე ცხელება (39°C), ოფლიანობა, სახსრების ტკივილი და სისუსტე ბოლო ერთი თვის მანძილზე. ამ პერიოდში მან დაკარგა მადა და დაიკლო წონაშიც. მან აღნიშნა რომ უყვარს თხის არაპასტერიზებული ყველის ჭამა. გამოკვლევისას დადგენილ იქნა ჰეპატოსპლენომეგალია. ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო დაავადება?

1. ბრუცელოზი
2. ტულარემია
3. ჯილეხი
4. ბოტულიზმი

14. 10 წლის ბიჭი მიყვანილ იქნა კლინიკაში მაღალი ტემპერატურით, მას გადიდებული და მტიკვნიული ქონდა მარცხენა ილლიისქვეშა ლიმფური კვანძი. ბიჭის დედამ აღნიშნა, რომ ბავშვმა რამოდენიმე დღის წინ სახლში მიიტანა მკვდარი ვირთხა. ეჭვი იქნა მიტანილი შავი ჭირის ბუბონურ ფორმაზე. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ დაავადების გამომწვევი?

1. *Yersinia enterocolitica*
2. *Yersinia pseudotuberculosis*
3. *Yersinia pestis*
4. *Yersinia rodentom*

15. დედამ კლინიკაში მიიყვანა 6 წლის გოგონა შემდეგი სიმპტომებით: მაღალი ტემპერატურა, სისუსტე, მუცლისა და თავის ტკივილი. კლინიკაში დაფიქსირდა გადიდებული ღვიძლი და ელენთა(ჰეპატოსპლენომეგალია), აგრეთვე ილლის, კისრის და ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდება. ამ სიმპტომებმა თავი იჩინა კნუტის მიერ დაკაწვრიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ. სავარაუდოდ რომელი პათოგენია ასეთი კლინიკის გამომწვევი?

1. *B. anthrax*
2. *B. henselae*
3. *B. pertussis*
4. *B. melitensis*

16. 27 წლის მამაკაცმა მინდვრის თიბვის დროს შემთხვევით მოკლა კურდღელი. როდესაც გაჩერდა კურდღლის დასათვალიერებლად აღმოაჩინა, რომ იქვე იყო სხვა უკვე მკვდარი ორი კურდღელი. მან აიღო და დამარხა კურდღლები, სამი დღის შემდეგ მამაკაცს აეწია ტემპერატურა, ქონდა კუნთების ტკივილი და მშრალი არაპროდუქტიული ხველა. 12 საათის შემდეგ ტკივილმა მოიმატა და ამიტომ გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში სადაც მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგად დაისვა ტულარემიის დიაგნოზი. კვლევის რომელი მეთოდი გამოიყენება დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისთვის?

1. ბაქტერიოსკოპული
2. ალერგიული
3. კულტურალური
4. სეროლოგიური

17. 20 წლის ახალგაზრდამ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, მას ბოლო ორი თვის მანძილზე გულმკერდზე ქონდა უმტიკვნიულო დაზიანება, რომელიც მატულობდა ზომაში და არ ექავებოდა. დაზიანების ადგილიზე დაკარგა შეგრძნება. ანაფხეკის ცილ-ნილსენის მეთოდით შეღებვისას აღმოჩენილ იქნა წითელი ფერის ჩხირები. მასალა არ გაიზარდა ლევიწმტინ-ინსენის ნიადაგებზე ჩამოთვლილთაგან სავარაუდოდ რომელი დაავადებითაა პაციენტი ავად?

1. კანის ტუბერკულოზი
2. კეთრი

3. შავი პედრა
4. აქტინომიკოზი

18. 4 წლის გოგონას დედამ ბავშვს შეამჩნია გაღიზიანება, 2 დღის შემდეგ ეპიზოდური ხველა, დამძიმებული სუნთქვა. ერთ-ერთ ასეთი ღებინებით დასრულებული შეტევის შემდეგ დედამ ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანა, ხველითი ეპიზოდების დროს ბავშვია მოთენთილი, ხოლო შეტევის შემდეგ პულსი და სინთქვა გახშირებულია. ცხვირ-ხახიდან აღებული ნაცხი დაითესა ბორდე-ჟანგუს ნიადაგზე, ხოლო ნაცხში პატარა “გრამ-“, ჩხირები. სავარაუდო გამომწვევის რომელი პათოგენობის ფაქტორი იწვევს ასეთ კლინიკას?

1. ციტოტოქსინი რომელიც შლის პოლიმორფულბირთვიან ლეიკოციტებს
2. ენდოტოქსინი, რომელიც ასტიმულირებს ციტოკინების გამონთავისუფლებას
3. ნეირამინიდაზა, რომელიც ცვლის უკრედის კედლის გლიკოლიპიდს
4. ეგზოტოქსინი, რომელიც იწვევს ამფ-ს ციკლის დარღვევას

19. 37 წლის ქალბატონმა რომელმაც მიმართა სამედიცინო დაწესებულებას აწუხებდა საშარდე გზების ინფექცია, ხშირი შარდვა და წვა შარდვისას. მან აღნიშნა, რომ შარდს აქვს ამიაკის სუნი. ჩამოთვლილთაგან რომელი მიკრობი შეიძლება იყოს ამ ინფექციის მიზეზი?

1. Enterobacter aerogenes
2. Proteus mirabilis
3. Serratia marcescens
4. Citrobacter freundii

20. 6 წლის ბავშვს განუვითარდა დიარეა აბდომინალური სპაზმებით, 2 დღის შემდეგ დიარეამ იმატა და ფეკალური მასები შეიცავდა სისხლს. ბავშვს ქონდა დაბალი ტემპერატურე. ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგად გამოიყო E. coli-O157 შტამი. რომელი პათოგენობის ფაქტორია ამ კლინიკის გამომწვევი?

1. პლაზმიდებით განპირობებული ინვაზია, ნაწლავის ეპითელიუმის დესტრუქციით
2. ტოქსინი, რომელიც იწვევს ცილის სინთეზის დარღვევის გზით მიკროხაოების დესტრუქციას
3. ენტეროტოქსინი რომელიც ზრდის ციკლურ გუანინ მონოფოსფატაზას დონეს
4. ენტეროტოქსინი რომელიც ზრდის ციკლურ ადენოზინ მონოფოსფატაზას დონეს

21.42 წლის მამაკაცს აღენიშნება დაღლილობა და თავის ტკივილი. მომდევნო დღეს გაეღვიძა მათალი სიცხით და მტკივნეული შეტევებით გულმკერდის მიდამოში. დაისვა ბრონჰოლმის დაავადების (პლევროდინი) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ დაავადების გამომწვევი?

1. პოლიოვირუსი
2. A კოქსაკის ვირუსი
3. B კოქსაკის ვირუსი
4. ECHO

22.5 თვის გოგონა იანვრის თვეში მიიყვანეს გადაუღებელი დახმარების ცენტრში წყლიანი დიარეით და ღებინებით. ქონდა დაბალი სიცხე და აღენიშნებოდა ლეჰიდრატაციის ნიშნები. საექვო აგენტი, რომელიც არის ამ კლინიკის გამომწვევი, არის იკოსაედრული კაფსიდის მქონე ვირუსი ორმაგი კაფსიდით და ორდაფიანი რნმ-ით. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ ინფექციის გადაცემის მექანიზმი?

1. ტრანსმისიული
2. აეროგენული
3. ფეკალურ-ორალური
4. ვერტიკალური

23.6 თვის ბავშვს 2 დღეა აქვს ტკივილები მუცლის არეში, დიარეა სისხლის გარეშე და ღებინება. განავლის ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევისას გამოიყო მხოლოდ ნაწლავების ნორმოფლორის ბაქტერიები. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ ასაკის ბავშვებში ზემოაღნიშნული კლინიკის ყველაზე ხშირი გამომწვევი?

1. A კოკსაკის ვირუსი
2. ორბივირუსი
3. როტავირუსი
4. B კოკსაკის ვირუსი

24.74 წლის მამაკაცმა მიმართა კლინიკას სისუსტით, ცხელებით და ყელის ტკივილით. ცოტა ხანში დაეწყო ღებინება და ამის შემდეგ გონების დაბინდვა. სავარაუდოდ დაისვა ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის დიაგნოზი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ლიკვიდაციითაა შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული დავადების კონტროლი?

1. ცხენების
2. ტკიების
3. კოლოების
4. ფრინველები

25. 5 წლის ბიჭს, რომელიც დაბრუნდა ტროპიკებიდან აღნიშნება გრიპისმაგვარი სიმპტომები. დაახლოებით 4 დღის შემდეგ განუვითარდა სიყვითლე და ღებინება. ეჭვი იქნა მიტანილი ყვითელი ყვითელი ცხელების ვირუსზე. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი შეესაბამება ამ ვირუსს?

1. გარსიანი, ერთდაფიანი -რნმ-ის შემცველი ვირუსია
2. გარსიანი, ერთდაფიანი, სეგმენტირებული -რნმ-ის შემცველი ვირუსია
3. გარსიანი, ერთდაფიანი +რნმ-ის შემცველი ვირუსია
4. უაგრსო, ორდაფიანი, სეგმენტირებული რნმ ვირუსია ორმაგი კაფსიდით

26. დეკემბრის თვეში დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს დაეწყო A-ტიპის გრიპის ვირუსით გამოწვეული სიმპტომები: ყელის ტკივილი, სურდო, ხველა, სიცხე, თავის ტკივილი, მიაღვია და სისუსტე. მასწავლებლებს რომელბის არ იყვნენ ვაქცინირებულები საპროფილაქტიკოდ დაენიშნათ რემანტადინი. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ამ პრეპარატის მოქმედებას?

1. ბლოკავს M2-ცილას
2. ბლოკავს F-ცილას
3. ბლოკავს N ნეირამინინდაზას
4. ბლოკავს H ჰემაგლუტინინს

27.5 წლის ბიჭს ერთი კვირაა აღნიშნებოდა მომატებული ტემპერატურა, თავის ტკივილი, სისუსტე, გადიდებული ყურისქვეშა და სანერწყვე ჯირკვლები. გადაუდებელი დახმარების ცენტრში მიყვანისას აღნიშნებოდა მენინგიალური მოვლენები. სავარაუდოდ დაისვა ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყრუას) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელ ოჯახში შედის სავარაუდო ვირუსი.

1. ორთომიქსოვირუსების
2. პარამიქსოვირუსების
3. პარვოვირუსების
4. პიკორნავირუსების

28.25 წლის ქალს აქვს პაპულოზური გამონაყარი მთელ სხეულზე, ხელის და ფეხის გულებზე. მან აღნიშნა,

რომ რამოდენიმე კვირის წინ ქონდა წყლული სასქესო ორგანოზე, გადიდებული ქონდა ლიმფური კვანძები. რომელ დაავადებაზე შეიძლება მიიტანოთ ეჭვი?

1. ლეპტოსპიროზი
2. ათაშანგი
3. ეპიდემიური შებრუნებიტი ტიფი
4. ენდემური შებრუნებითი ტიფი

29. თქვენი პაციენტია 25 წლის მამაკაცი ურეთრიტით. პაციენტს აღენიშნება ქავილი, გამონადენი, ტკივილი მოშარდვის დროს. კლინიკა ძალიან გავს გონორეას, მაგრამ ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა გონოკოკებზე უარყოფითი იყო. ჩამოთვლილთაგან რომელი იწვევს ე.წ. "არაგონოკოკურ ურეთრიტს"?

1. *C. difficile*
2. *C. pneumoniae*
3. *C. psittaci*
4. *C. trachomatis*

30. პაციენტს აღენიშნება პნევმონია, სხეულის ტემპერატურა ოდნავ მომატებულია. ერთ-ერთი პირველადი სიმპტომი სინუსიტი იყო. მიკრობიოლოგიური გამოკვლევით დაადგინდა, რომ პნევმონიის გამომწვევია *C. pneumoniae*. ჩამოთვლილთაგან ანტიბიოტიკის რომელი ჯგუფია ყველაზე ეფექტური ამ მიკრობით გამოწვეული დაავადების სამკურნალოდ?

1. ტეტრაციკლინის
2. რიმფამიციინის
3. ბეტალაქტამიდების
4. პოლიენური

31. 23 წლის ქალბატონს სწრაფად განუვითარდა შემდეგი სიმპტომები: სიცხე, სიყვითლე, აბდომინალური დისკომფორტი და მადის დაკარგვა. სისხლის სეროლოგიამ გამოავლინა ანტისხეულები HBcAg –ის მიმართ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ვირუსულ ინფექციაზეა საუბარი?

1. HAV
2. HBV
3. HCV
4. HEV

32. 8 წლის ბიჭუნას კანზე აღენიშნება ერთემატოზული გამონაყარი სადაფისფერ-მოვარდისფრო იერით. მიკროსკოპული მეთოდით გამოვლინდა დიდი ზომის ორძაფიანი დნმ ვირუსები, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ვირუსულ ინფექციაზეა საუბარი?

1. ჰერპესვირისი 1
2. ჰერპესვირუსი 6
3. ნატურალური ყვავილის ვირუსი
4. კონტაქტური მოლუსკის ვირუსი

33. 42 წლის კაცს, რომელიც ჰერონის მომხმარებელია აქვს სიყვითლე, მუქი შარდი, წონაში კლება და სისუსტე. დაავადება პროგრესირებს ძალიან სწრაფად ელვისებური ჰეპატიტით და ციროზით. რომელი ვირუსი იწვევს ასეთ კლინიკას?

1. Caliciviridae
2. Deltavirus
3. Flaviviridae
4. Picornaviridae

34. 25 წლის ქალს უეცრად დაეწყო მაღალი ტემპერატურა, ღებინება, თავისა ტკივილი. ცოტა ხანში კანზე გაუჩნდა ჯერ ვარდისფერი ლაქები, რომლებიც მოგვიანებით ვეზიკულებად და პუსტულებად გადაიქცა, რამოდენიმე დღეში პუსტულები ქერქით დაიფარა და კანზე ღრმა ნაწიბურები დატოვა. ციტოპლაზმაში რა ტიპის ჩანართების გამოვლენა ხდება ამ ვირუსის სადიაგნოსტიკოდ?

1. გვარნიერის ელემენტარული სხეულაკების
2. ბაბემ-ნეგრის სხეულაკების
3. კაუდრის სხეულაკების
4. პაშენის ელემენტარული სხეულაკების

35. 13 წლის ბიჭს ქონდა მომატებული ტემპერატურა, კონიუნქტივიტი, ფარინგიტი და ზედა სასუნთქი გზების ინფექცია. ეს სიმპტომები განუვითარდა მეგობრის საცურაო აუზში ბანაობიდან 3 დღის შემდეგ. ჩამოთვლილი სიმპტომებიდან კიდეც რომელი დაავადების გამოწვევა შეუძლია სავარაუდოდ გამომწვევს განსაკუთრებით მცირე ასაკის ბავშვებში?

1. გლომერულონეფრიტის
2. ოსტეომიელიტის
3. გასტროენტერიტის
4. ჰეპატიტის

36. 8 წლის ბავშვს რამოდენიმე დღის წინ აღენიშნებოდა საშუალო სიმძიმის ყელის ტკივილი, გრიპის მაგვარი სიმპტომები, მაღალი სიცხე. რამოდენიმე დღის მერე გაუწითლდა ლოყები. ამის შემდეგ მის 33 წლის დედას განუვითარდა ართალგია, შემდეგ ორივე ხელის ართრიტი. სავარაუდოდ რომელი ვირუსია მიზეზი დედა-შვილის ასეთი ტიპის ინფექციის?

1. პაპილომავირუსი-HPV-16
2. პარვოვირუსი-B19
3. პაპილომავირუსი-JC
4. პოლიომავირუსი -SV-40

37. 26 წლის ქალს ორსულობის მეორე ტრიმესტრში ჩაუტარდა სისხლის გადასხმა. მშობიარობის შემდეგ ნაყოფი იყო ძალიან პატარა. 2 დღის მანძილზე ახალშობილს განუვითარდა სიყვითლე და ჰეპატოსპლენომეგალია. შარდის ნიმუშში აღინიშნა „ბუს თვალების“ ჩანართიანი უჯრედების არსებობა. ერთი კვირის შემდეგ ჩვილი დაიღუპა. რომელ თანდაყოლილ ინფექციასა შეეძლება საუბარი?

1. ციტომეგალოვირუსი
2. გენიტალური ჰერპესი
3. ჰერპეს ზოსტერი
4. მარტივი ჰერპესვირუსი

38. 65 წლის მამაკაცი უჩიოდა ძლიერ თავის ტკივილს, მეხსიერების დაკარგვას, დაბნეულობას და მარცხენა ხელის მუდმივ ტრემორს. დაახლოებით ამ სიმპტომების დაწყებიდან 4 თვის შემდეგ იგი ჩავრდა კომაში. ავადმყოფი გარდაიცვალა და ჩაუტარდა აუტოფსია. ტვინის ნეირონებში აღინიშნა ექსუდაციური ვაკუოლიზაცია და დეგენერაციული ცვლილებები. პაციენტს დაუდგინდა კრეიცფელდ-იაკობის დაავადება. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ტიპს მიეკუთვნება ეს ინფექცია?

1. ოპორტუნისტულ ინფექციას
2. იატროგენულ ინფექციას

3. ნელ ინფექციას
4. ნოზოკომიალურ ინფექციას

39. ლეიკემიით დაავადებულ საშუალო ასაკის ქალბატონს მარჯვენა თვალის კონიუნქტივაზე და ქვედა ქუთუთოს ქვემოთ სახის მიდამოში აღენიშნება ანთებითი პროცესი, ქსოვილი დანეკროზირებულია და მუქი შეფერილობა აქვს. დაზიანებული ქსოვილის მიკროსკოპულმა კვლევამ მასში გამოავლინა ფართო კუთხით (90°) განშტოებული არასეპტიერბული ჰიფები თავისებური სპორანგიუმებით („ჩანთაში მოთავსებული სპორების“ სახით). სავარაუდოდ ქალი არის დაავადებული:

1. ნაირფეროვანი ლიქენით
2. მუკორომიკოზით
3. ბლასტომიკოზით
4. კოკციდიოიდომიკოზით

40. პაციენტი უჩივის ქოშინს, ხველას ნახველით, ფილტვის რენტგენოსკოპიამ მარჯვენა ფილტვის ქვედა წილში გამოავლინა ანთებითი პროცესი, ხოლო ნახველის მიკროსკოპიამ გამოავლინა ენდოსპორების შემცველი სფერულები. რომელი სოკოსთვის არის დამახასიათებელი აღწერილი მორფოლოგია?

1. *Candida albicans*-ისთვის
2. *Aspergillus fumigates*-ისთვის
3. *Rhizopus spp*-ებისთვის
4. *Coccidioides immitis*-ისთვის

